№ 230. 16 ნოემბერი, ოთხშაბათი. 1866—1883 16 ნოემბერი, ოთხშაბათი. № 230.

დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა	9 მან.	სამის თვისა	3 მან.
ექვსის თვისა	5 მან.	ერთის თვისა	1 მან.

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს
დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში. პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ბოქრში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	9 მან.	6 თვით	5 მან.
11 თვით	8 მ. და 50 კ.	5 თვით	4 მ. და 50 კ.
10 თვით	8 მან.	4 თვით	4 მან.
9 თვით	7 მ. და 50 კ.	3 თვით	3 მან.
8 თვით	7 მან.	2 თვით	2 მან.
7 თვით	6 მან.	1 თვით	1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

ხუთშაბათს, 17 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ბენეფისი

მ. მ. მძინარაშვილისა

I

ორი ოგოლი

დრამა 5 მოქმედებად და 8 სურათად, რუსულიდამ გადმოთარგმნილი ა. ა. ცაგერელისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ. (2—1)

ტელეგრამები
(«ჩრდილოეთის საგენტოსი».)

11 ნოემბერს.

პეტერბურგი. გაოცტრდა ტყავების ქარხნის პატრონი პავლე კულიკოვი და იმის ქონებაზედ ადმინისტრაცია დაინიშნა. პასსივი ერთი მილიონია.

ოდესსა. ზოგიერთა პერის მაღაზიების პატრონებმა მიმართეს ფინანსთა სამინისტროს თხოვნით, რომ სამინისტრომ ელევატორების გამართვის ნება არ მისცეს, რადგან ამ ვაჭრებს დიდი ხარჯი მოუვიდათ მაღაზიების გამართვაში და რელსების დაწყობაში.

ბერლინი. დღეს წავიდა პეტერბურგში ავსტრიის ელჩი გრაფი ვოლკენშტეინი.

ტრასბურგი ვალენსია. გერმანიის მემკვიდრე პრინცის პატივისსაცემად იყო გამართული სადილი, რომელზედაც უმაღლესი მთავრობის ყველა წარმომადგენელნი დაესწრნენ. პრინცმა დალია სადღეგრძელო, ესპანიის ხელმწიფისა და ბურგომისტრმა—გერმანიისა, გერმანიის იმპერატორისა და მემკვიდრე პრინცისა. საღამოზედ მემკვიდრე პრინცი თეატრში იყო, სადაც ოვაციები გაუმართეს და შეაღამისას მადრიდში წავიდა; მადრიდში დღეს ესპანიის ხელმწიფე მიეგება.

ლონდონი. შანხაიდამ იუწყებიან, რომ ჩინეთის მთავრობამ გასცა ბძანება იენ-ნანის პროვინციაში მდგარ ჯარებს, რომ ტონკინის სამზღვარისკენ წავიდენ, შავს ფლაგებს შეეერთდენ და მათთან ერთად იომონ ფრანცუზების წინააღმდეგ. სხვა ჯარები, რომელნიც ჩინეთის სამხრეთის პროვინციებში სდგანან, მარტო სამზღვრებს დაიცვენ და კი არ გადავლენ. ჩინეთის ჯარების სარდლად დანიშნულია ლინი.

12 ნოემბერს.

პეტერბურგი. დღეს იქნება პირველი სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც გუბერნიებისა და მაზრების კომისიების დასკვნა უნდა გასინჯოს შესახებ სასმელების საქმისა.

ჩინეთიდამ მომავალი, ჩაით დატვირთული პეტერბურგის კომპანიის ცეცხლის გემი, პეტრე დიდი, რომელზედაც ცუდი ხმები ისმოდა, საშინელს ქარიშხალს გადურჩა ოკეანეში, ეხლა კარანტინს უცდის სმირნაში და პირველს დეკემბერს ოდესაში მოვა.

მადრიდი. როდესაც ვოგზალზე გერმანიის მემკვიდრე პრინცს მიეგება, ესპანიის ხელმწიფეს პრუსიის ელჩის მენდირი ეცვა. მემკვიდრე პრინცმა ხელმწიფესთან ერთად ქალაქში ეკიპაჟით ისეირნა და ხალხმა ალტაცებით მიიღო.

ლონდონი. ის პირი, რომელსაც ჯოჯოხეთის მაშინა უპოვეს, გვარად ვოლტია. ეს არის ნემეცი სოციალისტების ერთი მოთავეთაგანი და თურმე აქაურ გერმანიის საელჩო სახლის აფეთქებას აპირებდა.

პარიზი. პალატამ დაამტკიცა რადიკალი რიშას წინადადება, რომლის ძალითაც პარიკის არქიეპისკოპოსს ჯამაგირი შეუმცირდება და სასულიერო სემინარიებში მმართველობის სტიპენდიები მოისპობა.

13 ნოემბერს

მოსკოვი. აქაური ტყის საქმის მცოდნენი ცდილობენ—მიიღონ კლინის ახლო სახელმწიფო ტყე სამაგალითო ტყის მეურნეობის მოსაწყობად.

«მოსკოვის უწყებებს» მოუვიდა ტელეგრამა ტაგანროგიდამ, რომ იქ სახელმწიფო ბანკი გასცემს ამას იქით სესხს ხორბლის გირაოში; ამას გარდა ტაგანროგის ვაჭრობის კომიტეტს მოსწონებია რუსეთის კომპანიის პროექტი შესახებ ნავთ-მისადგომის და ელევატორის გამართვისა ტაგანროგში; ელევატორს ვინც იხმარებს, ჩეტვერტზე თითო შაური უნდა გადაიხადოს.

ოდესა. ტაგანროგისკენ გემები აღარ დადიან ყინვების გამო.

ხარკოვი. გლეხები ძალიან ყიდულობენ მებატონეთა მამულებს; მამულების ფასმა აიწია,—დესიატინა 60—120 მანათამდე ღირს.

სარატოვი. ამ ქალაქის ელექტრონით განათება კარგად მოხერხდა.

ყაზანი. აქ ყინვები და თოვლია.

არხანგელსკი. სამი გრადუსი სითბოა. მიწა სრულიად მოლხვა.

ლონდონი. გონკონგიდამ იწერებიან, რომ 3000 ჩინელი 5 (19) ნოემბერს დაეცა ხაიეონგს; ფრანცუზები შვიდის საათის განმავლობაში გაუმაგრდენ; ღზვიდამ სროლაცა შველოდათ; ბოლოს ჩინელთა უკან დაიწიეს; ფრანცუზებს ოცი კაცი ზოგი დაეხოცათ, ზოგი დაეჭრათ.

ლონდონი. რადგან ცრუ-წინასწარმეტყველმა მახდიმ გაიმარჯვა, საეჭვოა, რომ ინგლისელებმა კაირს თავი დაანებონ; ეგვიპტის ჯარებმა სუდანი დასტოვეს და ჯერ-ჯერობით მარტო მოსაგერებლად ემზადებიან.

პეტერბურგი. პარასკევს ანიჩკინის სასახლეში იყო ჩვეულებრივი მიღება სხვა-და-სხვა დეპუტაციათა, რომელთაც გამოუცხადეს მათ დიდებულებათ თვისი ერთგულება საღმთო დაგვირგვინების გამო. მათთა დიდებულებათ მადლობა გადაუხადეს დეპუტატებს, ესაუბრნენ და ბევრი მათგანი ღირსნი გახდენ დედოფლის ხელზე კოცნისა.

15 ნოემბერს პეტერბურგის სამხედრო ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასარჩევლად საქმე საინტენდანტო უწყების მოხელეთა; მათ ბრალდებათ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებანი, რომელნიც მათ ჩაედენიათ წარსული ომის დროს. უმთავრესი ბრალდებული არის არმიის ინტენდანტად ნამყოფი ტაინნი სოვეტნიკი როსსიკი, რომელსაც მეიჯარადრეთ სარგებლობისთვის ბოროტ-მოქმედება მოუხდენია.

«პეტერბურგის უწყებანი» იწერებიან, რომ გზათა მინისტრი სთხოვს სახელმწიფო რჩევას დარჩეს მომავალ წელშიც დროებითი გადასახადი იმ საქონელზე და ბარგზე, რომელნიც წყლით იგზავნებიან.

მოსკოვი. გუშინ გარდაიცვალა პუბლიცისტი ალექსანდრე ივანეს-ძე კოშელევი, ეროობის ასპარეზზე მოღვაწე.

ოდესსა. სარწმუნო ცნობებია, რომ «ფინტელგონცის» ფირმას 700000 მანეთი ფული დააკლდა.

ბერლინი. წუხელ ბერლინზე გაიარეს პეტერბურგისკენ დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს-ძემ და ევგენი მაქსიმილიანის-ძემ მეეღლითურთ.

პარიზი. გრევიმ მიიღო სერრანო და უთხრა, რომ საფრანგეთი და ესპანია ერთმანეთის მონათესავე ხალხნი არიან და ერთმანეთს შეეჯიბრებიან მხოლოდ მშვიდობიანს მოღვაწეობაში.

ოფიციალური ტელეგრამებია ტონკინიდგან 17 (5) ნოემბერს მოწერილი, რომ ჩინელები 13

(1) ნოემბერს იერიშით მივიდენ ხაიგუონგზე, მაგრამ ფრანცუზებმა უკუ აბრუნეს. შემდეგ 17 (5) ნოემბერს კიდევ მიიტანეს იერიში, მაგრამ ჯერ არ იციან, რით გათავდა საქმე. ფრანცუზები ხანოეში არიან შეკრებილნი და ემზადებიან მტერზე მისვლას.

14 ნოემბერს

პეტერბურგი. დღეს, ხელმწიფე იმპერატრიცის შობის დღეობის გამო, ქალაქი ფლაქებით არის მორთული; ათს საათზე დაიწყო ისაკის სობოროში დღესასწაულებრივი საღმთო-მსახურება, რომლის შემდეგაც სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს; საღამოზედ ყველა თეატრებში სახალხო საგალობელს იმღერებენ.

«ნოვოე ვრემია»-ს გაუგონია, რომ ბელოსელსკების სახლი ანიჩკინის ხიდთან, უყიდნია დიდს მთავარს სერგი ალექსანდრეს-ძეს 900,000 მანეთად.

შანხაი. აქაური ინგლისური გაზეთი იუწყება—ბოდდიხანის ვიცეკოროლთან გაგზავნილს ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთთან ომი მაშინვე დაიწყობა, რამწამსვე ფრანცუზები ბეხტნინგზე იერიშით მივლენ. ბოდხიხანმა ამასთანავე ბძანება გასცა, რომ არავითარი უწესობა არ მოხდეს იმ პორტებში, რომლებშიაც უცხო ხალხთა ვაჭრობა სწარმოებს.

«დროების» ტელეფონი, 16 ნოემ.

ლიტერატურული შენიშვნა

(«წამება ქეთევან დედოფლისა» ისტორიული დრამა ს. მოჩხუბარიძისა).

იქნება მკითხველებს ახსოვდეთ, რომ ჩვენ დავბეჭდეთ მათ ბატ. მოჩხუბარიძის ახალს დრამაზე მოლაპარაკებას. «დროების» № 172-ში მოკლედ იყო წარმოთქმული ჩვენი შეხედულება მოჩხუბარიძის ნიჭზე, მისი ნაწარმოებების ხასიათზე. ახალს მის დრამას ეტყობა ავტორის ნიჭის ვითარება, ლიტერატურული ხასიათის მიმართულება. ჩვენ ამ ჟამად წადილი არა გვაქვს მოველაპარაკოთ მკითხველებს დრამის ხელოვნურს ღირსებაზე, ესტეტიურს მხარეზე. ესტეტიური კრიტიკა, რასაკვირველია, იპოვნის დრამაში არა ერთს და ორს ნაკლულევანებას და გამოსტოვებს კიდეც ზოგიერთა ადგილებს, რომელნიც არ ეკავშირებიან დრამის დედააზრს, აბრკოლებენ ამ დედა-აზრის ლოგიკურს მოძრაობას. ამისთანა ადგილებს ეკუთვნის, ჩვენის აზრით, მესამე მოქმედების ზოგიერთა სცენები და სხ. მაგრამ ამ ადგილებსაც არ აკლია ღირსება, როგორც ცალკე სცენებს.

ჩვენი შენიშვნა არ იქნება დრამის კრიტიკული განხილვა. სიმართლე სჯობიან,—ჩვენ კრიტიკს ვერ ვიკისრებთ; მხოლოდ, დრამის გამო, ზოგიერთა აზრებს, მოსაზრებას განვუზიარებთ მკითხველებს და ამასაც რამოდენათაც შესაძლო იქნება.

დრამა შეეხება ჩვენი წარსული ცხოვრების იმ ხანს, როდესაც ყოველად-წამებული საქართველო დიდს განსაცდელში იმყოფებოდა. ეს ის დროა, როდესაც ოდესმე ძლიერი და მტრების თავს ზარ-დამცემი იკერია, პოლიტიკური შეცდომის და სხვა-დასხვა მიზეზების გამო, რამოდენიმე ნაწილად იყო გაყოფილი, როდესაც ხალხის პოლიტიკური ერთობა მოისპო და მოისპო სახელმწიფოს გარეგანი მნიშვნელობაც. მეთხუთმეტე საუკუნეში დაიწყო ეს სამწუხარო მოვლენა: რაც დრო და ჟამი გადიოდა, სახელმწიფოს უფრო ეტყობოდა დაუძლურება. შინაური არეულობა, წოდებათა შორის განხეთქილება, ტახტის დამცირება ჩვეულებრივს ფაქტს შეადგენდა. ჩვენი მეფეების პოლიტიკური მნიშვნელობა აჩრდილად გადაიქცა. საქართველოს სახელმწიფო ასპარეზი სპარსელების და თურქების საკუთრებათ შეიქნა. ძნელად გაუძლებდა სხვა ხალხი ამ გაჭირვებულს მდგომარეობას, მაგრამ საქართველომ კი გაუძლო და ამითი უჩვენა კაცობრიობას—თუ რა დიდი ზნეობრივი და გონებითი ძალა მოიპოვებოდა კიდევ ამ ერთ მუჭა ხალხში. დიაღ, ამ საშინელს დროსაც კი ხალხს არ დაუკარგავს სულიერი ძალა, ენერგია, არ მისცემია სასოწარკვეთილებას, ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. და რომ ყოველივე ეს მართალია, ამას ამტკიცებს დრამა «წამება ქეთევან დედოფლისა». დრამის შინაარსი მკითხველსაც ეცოდინება და ამისათვის მეტი იქნება მასზე ლაპარაკი.

პირველ მომქმედ პირად დრამაში გამოყვანილია ქეთევან დედოფალი, მაღალ-ნიჭიერი ქალი, გამოცდილი სახელმწიფო საქმეებში, გულმხურვალე მოსიყვარულე თავის ხალხისა, სამშობლოსი. მას გვერდით უდგანან გამოჩენილნი მამულის-შვილნი: ქაიხოსრო ომანიშვილი, შერმაზან ჩოლაყაშვილი, ბორჯასპ არაბული და სხ. უწინდელი უანგარო თავგანწირული სიყვარული მამულისადმი თეთრის ზოლით არის გატარებული მთელს დრამაში. მხოლოდ ერთი პირი, «ავაზაკი» ბატონისშვილი კონსტანტინე მოჩანს, როგორც შავი ღრუბელი ამ თეთრს ზოლზე. მკითხველმა იცის, რომ კონსტანტინემ მოჰკლა თავისი ძმა და მოხუცებული მამა და შაჰ-აბაზის წაქეზებით მოინდომა კახეთის სამეფოს დაპყრობა. «ავაზაკმა», უმანკო სისხლის დამღვრელმა, დესპოტის ცბიერება და პირადი სარგებლობა გააღმერთა, მას შესწირა მსხვერპლად თავისი თავი და სამშობლო. დაუცხრომელს ენებას, უაზრო სიყვარულს თავის რძლისადმი, რომელიც ანგელოზივით წმინდა და უმანკოა, ზედ ერთვის უდიდესი ბოროტება—მამულის გმობა და ყოველივე ეს ჰხატავს კონსტანტინეს დრამის ბოროტ სულად, განხორციელებულ დემონად. მისი ხასიათი და მოქმედება მით უფრო დიდის შთაბეჭდილებით მოქმედებენ მკითხველზე, რომ სხვა მომქმედნი პირნი, წინააღმდეგ «ავაზაკისა», აღსავსენი არიან ერთისა და იმავე წმინდა აზრით—სიყვარულით მამულისადმი, ხალხისადმი.

რადგანაც დრამის უმთავრესი პირი

---

(1) ნოემბერს იერიშით მივიდენ ხაიგუონგზე, მაგრამ ფრანცუზებმა უკუ აბრუნეს. შემდეგ 17 (5) ნოემბერს კიდევ მიიტანეს იერიში, მაგრამ ჯერ არ იციან, რით გათავდა საქმე. ფრანცუზები ხანოეში არიან შეკრებილნი და ემზადებიან მტერზე მისვლას.

14 ნოემბერს

პეტერბურგი. დღეს, ხელმწიფე იმპერატრიცის შობის დღეობის გამო, ქალაქი ფლაქებით არის მორთული; ათს საათზე დაიწყო ისაკის სობოროში დღესასწაულებრივი საღმთო-მსახურება, რომლის შემდეგაც სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს; საღამოზედ ყველა თეატრებში სახალხო საგალობელს იმღერებენ.

«ნოვოე ვრემია»-ს გაუგონია, რომ ბელოსელსკების სახლი ანიჩკინის ხიდთან, უყიდნია დიდს მთავარს სერგი ალექსანდრეს-ძეს 900,000 მანეთად.

შანხაი. აქაური ინგლისური გაზეთი იუწყება—ბოდდიხანის ვიცეკოროლთან გაგზავნილს ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთთან ომი მაშინვე დაიწყობა, რამწამსვე ფრანცუზები ბეხტნინგზე იერიშით მივლენ. ბოდხიხანმა ამასთანავე ბძანება გასცა, რომ არავითარი უწესობა არ მოხდეს იმ პორტებში, რომლებშიაც უცხო ხალხთა ვაჭრობა სწარმოებს.

სწავლა საჭიროა, თუ არა?

თბილისი, 15 ნოემბერი.

ამ დღეებში შემდეგი ცნობები ამოვიკითხეთ გაზეთებიდამ: ინგლისი ხარჯავს ხალხის განათლებისათვის ზედიზედ ანგარიშით თითო ინგლისელზედ 50 კაპეიკს, დანია თითო დანიელზედ 1 მანეთს და 32 კაპ., ჩრდილოეთის ამერიკა თითო ამერიკელზედ 3 მან. და 50 კაპ., და რუსეთი თითო რუსზედ—7 კაპ. იქნება ცნობის-მოყვარეობამ წაგძლიოთ და იკითხოთ ჩვენ რაღასა ეხარჯავთო? უნუგეშო პასუხის მიცემას ხანდისხან პასუხის მიუცემლობა სჯობს, თორემ ვაი თუ 7 კაპ. მაგივრად ნახევარ კაპეიკიც არ გამოვიდეს... და ჩვენ ეს ციფრები არც შესადარებლად დავასახელეთ. შედარება ჩრდილოეთ-ამერიკელებთან ბაყაყის ხართან შედარებას ეგვანება და ჩვენ სრულიადაც არა გვწადიან ლორწოიან ქვემძრომს დაევმსგავსოთ... საქმე ის არის და ჩვენც მხოლოდ ამაზედ გვინდოდა მითითება, რომ მთელს ევროპას და მთელს ამერიკას ეხლა ხალხის განათლებაზედა აქვს თვალი და ყური მიქცეული. თვით ის აზრი, რომ ბერმანიამ კი არ დაამარცხა საფრანგეთი, ბერმანიელმა სოფლის მასწავლებელმა დაამარცხაო, თუნდა ძალიან უსაფუძვლოც იყოს, მაინც კარგად გვაჩვენებს იმ პატივისცემას, რა პატივისცემაც სოფლის სასწავლებელმა და მასწავლებელმა სამზღვარ-გარეთ დაიმსახურეს. საფრანგეთმა, შემდეგ მისთვის უბედურის ომისა, მთელი თავისი ძალა სოფლის სკოლის აღდგენას მოანდომა და ეხლა ამ მხრივძნელად ჩამოურჩება უკან რომელსამე სახელმწიფოს.... ბმირნი უმეცრებისა და ძალადობისა ვერც ერთ წინ-წასულ საზოგადოებაში ვერ იბოგინებენ და სწავლის წინააღდეგ მიმართული მახვილი უკანვე გულში დაუბრუნდებათ. «სწავლა საჭიროა, თუ არა»,—ეს ფრაზა დასავლეთის ევროპისათვის გაუგებარი ფრაზაა და იქ ამ ფრაზას ბოლოში კითხვის ნიშანს ვერავინ დაუსვამს... სოფლის სკოლა იქ წმინდა საგნად მიაჩნიათ და ვინც კი მის საქმეებში გარევას მოინდომებს, ათასჯერ უნდა წინ დაიხედოს, რომ უწმინდურის ხელით არ შეეხოს მას. სოფლის სკოლა ყოველი წინ-წასული ხალხისთვის და ყოველი განათლებული კაცისთვის არის წმინდა-წმინდათა, რომელსაც უნდა ხალხი მოწიწებით თაყვანსა სცემდეს და სახიჩარ მოუკულმართეთ თავიდამ აშორებდეს...

ღეს გვინდოდა მკითხველებისთვის ერთი სანუგეშო ამბავი შეგვეტყობინებინა, სახელდობრ, პირველ კლასიკურ გიმნაზიაში ქართველების რიცხვის 40 პროცენტით მომატება, როგორც წლიური ანგარიშიდამ სჩანს, მაგრამ ღღეანდელი ღღე როგორღაც სანუგეშო ღღედ არ მიგვაჩნია...

შინაური ქრონიკა

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ბ. მზრუნველის განკარგულებით დაუკეტიათ სკოლა სოფ. წინარეხს, რომელიც პირველი სოფლის სკოლა იყო; «წერა-კითხვის» საზოგადოებისაგან გახსნილი.

ერთი ჩვენებური ახალ-გაზდა მოსწავლე მოსე ქალანდარიშვილი გვთხოვს იმის მხრით მადლობა გამოვუცხადოთ იასე ბურიელის სახლობას, ნად. ერისთვისას, ლლონტის და სხვათა, რადგან ამ უკანასკნელ პირთ მის სასარგებლოდ გაუმართეს ქართული წარმოდგენა ქ. ბათუმში, რომლიდამაც წმინდა შემოსავალი 150 მან. დარჩენილა. ამ ფულიდამ ხუთი თუმანი ბ. მ. ქალანდარიშვილს პეტერბურგის ღარიბ ქართველ სტუდენტებისათვის გარდაუცია, რომელნიც აგრეთვე მადლობას უცხადებენ ზემოხსენებულ პირთა.

ხარაგაულიდამა გვწერენ, რომ იქ ამ ღღეებში ღამე გაუტეხიათ სოფლის სასამართლო და ბევრი საქმეები და თამასუქები გაუტანიათ. დოკუმენტების დაკარგვას დიდი ყაყანი შესდგომია ხალხში და ყველანი თურმე ამ ამბავს სასამართლოსთან ახლო მდგარ პირებს აბრალებენ.

ქახეთიდამა გვწერენ: «ერთს აქაურს ტყის-მცველს ავი ღღე დაადგა, როდესაც შეიტყო, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ქახეთში მოსვლას აპირებსო. იანგარიშა ამ ტყის-მცველმა, იანგარიშა და ასთხუთმეტი თუმანი კი დაკლდა, რომლისთვისაც მაშინვე ტყის ყარაულების კრება მოახდინა და თავისი უბედურება აცნობა. ტყის ყარაულებმა მოინდომეს თავის უფროსის ჭირიდამ დახსნა, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და ბოლოს ისესხეს ერთის პირისაგან ხსენებული ფული და ტყის-მცველი უმანკო კაცად გამოიყვანეს.

ახლა ვისი კისრიდამ ამოიღებენო, ამბობს კორესპონდენტი, ამ გადასახდელს ფულს, თუ არ ჩვენი გლეხ-კაცის კისრიდამ, რომელსაც თითო წკეპლის მოჭრისათვის თუ აქამდის აბაზი ჰხდებოდა, ეხლა მანათსაც აღარ დასჯერდებიანო.

დალოცვილ კახეთში თუ ტყის მცველები და ტყის ყარაულები სოფლით-სოფლად დანავარდობენ, არც ქალაქებში აკლებენ ხელს იქაური მოხელენი; მხოლოდ ეს არის—ამ უკანასკნელებს ქალაქების სისუფთავე თავიანთ განსაგებელი საქმე არა ჰგონიათ და თუ რომელსამე მათგანს შემთხვევით თავზედ ის არ გადაასხეს, რაც ქუჩაში გადასაქცევად იყო დანიშნული (როგორც ეხლახანს სიღნაღში მომხდარა), მოხელე თურმე ყურსაც არ გაიბერტყავს და უწმინდური ქუჩები ისევ უწმინდურადვე რჩებიან.

რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვსო ტამოჟნები კავკასიაში უფრო სამზღვრების ახლო გადიტანოსო; ყარსიდამ—კარაურგანში, ნახჩევნიდამ—სპარსეთის სამზღვრებზე, ჯულფაში და ერევნის გუბერნიაში სამი ახალი ტამოჟნის კორდონი დააწესოსო. ამ საგნისათვის ფინანსთა მინისტრი განსაკუთრებულ ფულს ითხოვს თურმე.

მკითხველებმა იციან, რომ უკანასკნელს ხანს შაქრის ფასმა ძალიან იმატა. ეს ფასის მომატება მოუსავლობის ბრალი კი არ არის,—ბრალია იმ მონოპოლისტებისა, რომელთაც შაქრის მთელი წარმოება და ვაჭრობა ხელში მოიგდეს. ეს გარემოება მეტად ცუდად მოქმედობს ხალხზედ, რადგან შაქარს ეხლა თითქმის ყველა ღარიბი ოჯახი ხმარობს და ის დრო წავიდა, როდესაც შაქარი მარტო მდიდრების კუთვნილება იყო. თვით მთავრობასაც მიუქცევია ყურადღება ამ საგანზედ და განუზრახავს, რომ უცხო ქვეყნებიდამ უბაჟოდ შაქრის შემოტანის ნება დართოს, ვიდრე რუსეთში შაქრის ფასი ისევ ჩვეულებრივი შეიქმნება. თუ ეს განზრახვა აღსრულდა დიდი შეღავათი მიეცემა ხალხს, რადგან უცხო ქვეყნის შაქარი ძალიან იაფად ფასობს; მაგ., ფრანცუზული შაქარი სპარსეთში მიტანით ფუთი ექვს მანათათა ჯდება და რუსული კი ადგილობრივ რვა მანათათა ღირს.

—

† ამ დღეებში უეცრად გარდაცვლილა დაბა-საჩხერეს ქუთაისის გუბერნიის მარშალი თ. ნესტორ წერეთელი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემს შენიშვნას, როგორც ყველასთვის საყურადღებოს, მისცეთ თქვენ გაზეთში ადგილი.

გუშინ სრულიად შემთხვევით მოვკარ ყური შესაზარ ამბავს შესახებ ერთი იმერლის ქალისა, რომელიც თბილისის საავადმყოფოში იმყოფება. დღეს კიდევ მე თითონ წაველი ამ ამბის შესატყობლად.

რამდენსამე წამის ძებნის შემდეგ, ქალების ერთი საავადმყოფო ოთახიდან გამოვიდა და მომიახლოვდა დაბალ-დაბალი, დასუსტებული, ჩამოხრწნილი ქალი, რომელსაც თითქმის ადამიანის სახე აღარ ედო.

— თქვენა ხართ მოტაცებული?—ვკითხე მე.

— დიახ, ბატონო, თქვენი ჭირიმე, მიშველეთ რამე!

— თქვენი გვარი?

— არჯევანიძე აღათია, ბატონო; აღათია, ბატონო, ეს ჩემი ნამდვილი სახელია და აქ მართა დამარქვეს, ბატონო!

— როგორ ჩავარდით ამ გარემოებაში, მიამბეთ ერთი!—და ქალმა მიამბო შემდეგი:

ამ ქალის სოფელში, ვეიფარსხეთში (ქუთ. გუბ.), არის ვიღაც გ. ა. აზნაური, რომელსაც ეს, შუადღისას მეზობელთან მიმავალი, გოგო ორი თუ სამი მოყვანილი კაცის შემწეობით მოუტაცნია გზიდამ, ჩამოუყვანია და მიუყიდნია სადღაც აბანოებთან ერთი დედაკაცისათვის; სამი თვის შემდეგ ეს ქალი ავად გამხდარა და დედაკაცს საავადმყოფოში მოუყვანია, სადაც დღესაც იმყოფება.. თურმე ეს პატრონი-დედაკაცი დაიარება კვირაობით ამ ქალთან და ეუბნება: «ჩქარა მორჩი და წამოდი ისევ». არც თურმე ერთს, სხვათა შორის, უფრო დასახლოვებულს მალით-საყვარელ თათარს დავიწყებია ეს ქალი და ერთხელ ისიც მოსულა საავადმყოფოში სანახავად.

წარმოიდგინეთ ჯერ ქართველი ქალის ნამუსის დაცვა და მერე ამისთანა მდგომარეობა მისთვის და მაშინ მიხვდებით, რა გრძნობით წამოიძახა საბრალო ქალმა შემდეგი: «მიშველეთ, ბატონო, დამიხსენით მაგათ ხელიდგან, გააგებინეთ ჩემს მშობლებს, თორემ არ წავყვები და თავს მოვიკლავ აქავე»!

საკვირველია,—თუ ეს საბრალო მთელი სამი თვის განმავლობაში ჯოჯოხეთის ოთხკედელ შუა იყო ჩაგდებული, რატომ განგებ ამისათვის მიჩენილმა მოხელეებმა ვერა შეიტყვეს რა? მაგრამ წარსულს ჯანი გავარდეს, ეხლა მაინც მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ უბედურის მდგომარეობას.

შ. დ.

6 ნოემბერს, თბილისი.

რუსეთი

—

— ერთი ვარშავული გაზეთი გვატყობინებს, რომ მმართებლობის წრეებში ფიქრობენ დაარსონ სპეციალური შაქრის კეთების სკოლები იმ გუბერნიებში, რომლებშიაც ბევრი ჭარხალი მოდის,—პროექტიც უკვე შემდგარია ამ საგნის თაობაზედაო.

— ბაზ. «ტაიმსს» სწერენ პეტერბურგიდგან—«მოსკოვის უწყებების» წერილმა, რომელშიც გატარებულია ის აზრი, რომ ბულგარია რუსეთმა უნდა დაიმორჩილოს,—დიდათ გააკვირვა აქაური საზოგადოებაო.

— მკითხველებს ეცოდინებათ, რასაკვირველია, რომ უნივერსიტეტებში პროფესორების თანამდებობაზე თვით პროფესორებივე ირჩევენ თავის ამხანაგებსა და შემდეგ უმაღლესი მთავრობა ამტკიცებს ამორჩეულ პროფესორთ. უკანასკნელს დროს ზოგიერთა მმართებლობის წევრთ ამ წესის შეცვლაც განიზრახეს და უნივერსიტეტების ახალი წესდების პროექტში, სხვათა შორის, ამ წესის მოსპობასაც თხოულობენ. მაგრამ, როგორც რუსული გაზეთებიდამ ვტყობილობთ, სახელმწიფო რჩევას უკვე განუხილავს პროექტის ეს აზრი და წევრთა უმრავლესობას, დიდის ბაასის შემდეგ, უვარ-უყვია იგი და ისევ ამორჩევითი წესის დარჩენის სურვილი გამოუცხადებია.

— უმაღლესის ბრძანებით, რომელიც გზათა ინჟენერების ინსტიტუტის გარდაკეთებას შეეხება და რომელიც ამ სამის წლის წინად იყო გამოცხადებული, ხსენებული ინსტიტუტის პირველი სამი კურსი სამის წლის განმავლობაში უნდა დაკეტილიყო—წელიწადში თითო კურსი. ეხლა იწერებიან, რომ წელს მესამე კურსიც დაიხურება და მომავალს **1884** წელს ინსტიტუტი საინჟენერო აკადემიათ

დედოფალი ქეთევან არის, ამისათვის საჭიროა მკითხველმა იცოდეს ხასიათი ამ გმირისა და ეს საჭიროა მით უფრო, რომ ქეთევანი წარმომადგენელია ჩვენი სახელმწიფოს სულისა: ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელი აზრი, მიმართულება იხატება ქეთევან დედოფლის მოქმედებაში და ამაზედ საუბარი უსარგებლო არ იქნება.

ორი იდეა, პოლიტიკური და რელიგიური, ამოქმედებდა ქეთევანს, აძლევდა მის ხასიათს გარკვეულს მიმართულებას. რა იყო პოლიტიკური რწმუნება ამ შესანიშნავი ქალისა?—მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენმა სახელმწიფო ცხოვრებამ არ იცოდა ის ფორმა სახელმწიფო გამგეობისა, რომელსაც (ფორმას) დესპოტიას უწოდებენ. არსებითი ვითარება დესპოტიისა (მაგ. აზიის სახელმწიფოებში). ის არის, რომ დესპოტს თავისი ნება მიაჩნია კანონად, თავისი სურვილი ხალხის სურვილად; ხალხი უბრალო იარაღია, მისი სარგებლობა—ამაო ოცნება, მისი უფლება—არაფერი. სულ სხვაა ეგრედ წოდებული მონარქია, ჩვენში მეფობა. მონარქიის სულს შეადგენს ხალხის კეთილ-დღეობა, ხალხის სურვილის პატივისცემა. ჩვენმა სახელმწიფომ იცოდა მონარქიული, ასე ვსთქვათ, მეფობრივი და არა დესპოტური ფორმა მმართველობისა. მართალია, ჩვენი მეფობა არ იყო დაფუძნებული დაწერილს ქარტაზე, ტახტის უფლება არ იყო განსაზღრული დაწერილი კანონით, მაგრამ ჩვეულება ერთსა და იმავე ზომიერს წერტილზე აყენებდა მეფის უფლებას, მის ნებას. კიდეც ამისთვის ვხედავთ ჩვენს პოლიტიკურს ისტორიაში მჭიდრო კავშირს მეფისა და ხალხის შორის. თქვენ იტყვით, რომ გარეგანი გარემოებანი თხოულობდენ ამ კავშირსაო. მართალია, მაგრამ თვით ხალხის პოლიტიკურმა გენიამ შექმნა ეს კავშირი, ჰშობა ნამდვილი მონარქიული ფორმა. დააკვირდით ქეთევან დედოფლის მოქმედებას,—იგი ზრუნავს ხალხზე და მხოლოდ ხალხზე, ჰხარობს მისი სიხარულით, ჰგოდავს მისი გოდებით, ჰფიქრობს მის ფიქრით. ქეთევან დედოფლის პოლიტიკური იდეალი საზოგადო იდეალია მონარქიული ხელმწიფეებისა და ამ იდეალში არა რაიმე დესპოტური არ მოიპოვება. იქნება მკითხველმა უკიჟინოს ბ. მოჩხუბარიძეს, რომ იგი ასე ხშირად ალაპარაკებს ქეთევანს მამულის სიყვარულზე, ხალხის კეთილ-დღეობაზე, იქნება იმავე მკითხველმა დედოფლის მაღალ-ზნეობრივ სიტყვებს, პოლიტიკურს სიბრძნეს რიტორული ფრაზები უწოდოს, რომელნიც სინამდვილეს არ ეთანხმებიან, ყალბი სიტყვები არიან. ჩვენ კი გვგონია, რომ ავტორს გაუგია ჩვენი სახელმწიფოს იდეალი, მისი სიმბოლო სარწმუნოება და კიდეც უმეტ-ნაკლებოდ ჰხატავს ამას ქეთევანის სიტყვებით. მხოლოდ უცოდინარობა, გაუგებრობა ათქმევინებს კაცს იმას, რასაც ამბობს პიეტრო დელლავალლე: «მათი (ქართველებისა) ხელმწიფე ჰმართავს ქვეყანას აღმოსავლეთურად; მისი უფლება უფრო დესპოტურია და უფრო განუსაზღვრელი, ვიდრე ჩვენის ევროპის ხელმწიფეებისა» («ივერია» 79 წ. № 3, გვ. 60.). არა. დესპოტმა არ იცის ხალხის სიყვარული; მონტესკიეს სიტყვებისა არ იყოს, იმან იცის მხოლოდ ხალხის შიში და დესპოტის ძალაც დამყარებულია მთლად ამ შიშზე. დააკვირდით ახლა ხალხის სიყვარულს ქეთევანისადმი და დაინახავთ, რომ დესპოტიზმი არ იცოდა საქართველომ. თავგანწირული სიყვარული ხალხისა მეფისადმი, რომელსაც ასე ხშირად ვპოვებთ ჩვენს წარსულს ცხოვრებაში, აშკარად გვიჩვენებს—თუ როგორი იყო ჩვენი ხალხის პოლიტიკური იდეალი, თუ რანაირად ესარჩლებოდა ტახტი ხალხის ბედნიერებას. სხვათა შორის ამ იდეალში, ჰუმანიურს მონარქიაში მოიპოვება იმის მიზეზი, რომ ხალხს თითქმის არაოდეს არ დაუკარგავს ენერგია, სულიერი ძალა. თვით ჩვენი წარსული მამულიშ-შვილობაც შედეგი იყო ამ იდეალისა. იქ, სადაც მეფე დესპოტურად ჰმართავს ქვეყანას, მამულის-შვილები არ იმყოფებიან; იქ შეხვდებით მონების ხროვას და არა ისეთს გუნდს, რომელსაც ეკუთვნიან ქაიხოსრო ომანიშვილი, შერმაზან და ნოდარ ჩოლოყაშვილები და სხ. ეს ყველასთვის ცხადია.

(დასასრული ხვალ)

Дозв. ценз. Тифлисъ, 15 Ноября 1883 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაკეთდებაო. ახალს აკადემიაში მიიღებენ ყველას, ვისაც უნივერსიტეტებში მათემათიკურ ფაკულტეტებზე კურსი აქვსთ შესრულებული, და ეგრეთვე ყველა უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში კურს შესრულებულებსაო. სწავლის ფასი (50 მანათი) მოისპობაო.

— იწერებიან აგრეთვე, რომ სახელმწიფო რჩევა ამ ცოტას ხანში განიხილავს კითხვას იმის შესახებ— მმართებლობა უნდა ერეოდეს კერძო რკინის გზათა საქმეებში, თუ არა, მაშინ, როდესაც რკინის გზებს რაიმე კერძო მიზეზების გამო არა სურთ სხვა გზებთან კონვენციის შეკვრა ტარიფის შესახებ.

უცხოეთი

— ნემეცური გაზეთები დიდს მნიშვნელობას აწერენ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის, ბირსის, ბერლინში მისვლას და ამტკიცებენ, ბირსს მინდობილი აქვს რუსეთის მმართებლობისაგან დაარწმუნოს ბერმანიის მმართებლობა, რომ რუსეთს მშვიდობიანობა სურსო.

— ამ დღეებში «ფიგაროს» ერთი წერილის გამო ნემეცურს გაზეთს «ალენიბე ცეიტუნგს», დაუბეჭდია საფრანგეთის წინააღმდეგ ფრიად განრისხებული წერილი, რომელშიაც ისე ლაპარაკობს, თითქო მთელი ბერმანიის ხალხის აზრს ხატავდეს. «ფიგაროს»-ს სიტყვით, ბერმანიის ხალხი და ჟურნალ-გაზეთები ძლიერ განრისხებულნი არიან საფრანგეთზე, და ბერმანიის მმართებლობა და განსაკუთრებით ბისმარკი ცდილობენ უფრო განაძლიერონ ორთა ხალხთა შორის სიმძულვარე და მტრობა. ამაზე «ალენიბე ცეიტუნგი» უპასუხებს—საფრანგეთი იმდენს შეურაცყოფს ბერმანიასა, რომ საკვირველი არ არის, ნემცები გაბოროტებულნი იყვნენ ფრანცუზებზედაო; ისინი დარწმუნდენ, რომ საფრანგეთს არ უნდა მოსვენება მისცეს მათ, და ის მოლოდინი, რომ იქნება ოდესმე განქარვებულიყო ამ ორთა ხალხთა შორის სიმძულვარე, ტყუილი გამოდგაო; ამისათვის ნემცები ჰფიქრობენ, თუ ომი აუცილებელია, უმჯობესია, რაც შეიძლება, მალე იყოსო, რადგანაც ეხლა ბერმანია ისეთ მდგომარეობაშია, როგორიც სანატრელიაო. «ფიგარო» ამის პასუხად უწერს— დეე «ალენიბე ცეიტუნგმა» აკვირვოს ამგვარი აზრებით მთელი ბერმანია, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იმას სხვა ნემეცური გაზეთები არ ეთანხმებიან; მაგრამ მაინც კიდევ საჭიროა, ჩვენ, თუ ომი აუცილებელია, ვიფიქროთ მოკავშირეებზედ, და ისეთს სახელმწიფოსთან შევკრათ კავშირი, რომლის შემწეობითაც ბერმანიის დამარცხება უეჭველი იქნებაო.

— პეშტიდგან მოსული ამბებიდგან ვტყობილობთ, რომ ვენგრიაში ებრაელთა დევნა კიდევ დაუწყვიათ. ამ დღეებში დაბა ზალა-ლევეში, სადაც ბევრი ებრაელი სცხოვრობს, შეცვივნულან ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებნი გლეხნი, ოც-დათ კაცამდე, ცულებით და თოფებით დაიარაღებულნი, ებრაელთა ასაწიოკებლად; მაგრამ პოლიციას სცოდნია მათი განზრახვა და წინადვე მომზადებულა მათ დასახვედრად. ბლეხები იქამდენ გაბოროტებულნი ყოფილან ებრაელებზე, რომ პოლიციასთან შეტაკებასაც არ მორიდებიან; შეტაკების დროს პოლიციას ორი გლეხი მოუკლავს და რამდენიმე დაუჭრია. იწერებიან—ამ შემთხვევამ ისე ააღელვა ხალხი, რომ შიშობენ—კიდევ არ მოახდინონ უწესობაო.

განცხადებანი

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ ცნობადებს, რომ 18-ს ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, მის თანადასწრებითა, დანიშნული კაცრობა ქალაქის ადგილების იჯარით გაცემაზე.

1) ვოლბრის ადგილისა გაჯის ამოსაღებად, ზომა 229 დესიატინა, 1560 კვად. საჟ. 1-დის იანვრიდან 1884 წ. 1 იანვრამდე 1887 წ.

2) კუკიის ადგილისა, ზომა 888 დესიატინა 1800 კვად. საჟ. სახნავ-სათესი, სამოვარი და სხვა სამეურნო საქმისათვის საჭირო, 1-დის დეკემბრიდან ამ წლისა სამის წლით.

3) ნავთლუღის ადგილისა, ზომა 194 დესიატინა, 100 კვ. საჟ. სამოვარი, სათიბი და საბოსტნე 1-დის იანვრიდან 1884 წლისა 1 დს იანვრამდე 1887 წ. ბირობების ნახვა შეიძლება გამგეობის (უბრავის) კანცელარიაში დიდის 8 საათიდან 2 საათამდე შუადღის უკან, გარდა უქმე დღეებისა. (3—2)

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ ცნობადებს, რომ მაღაზიები ქალაქის სასლში ერეკნის მოედანზედ დასრულებულნი იქმნებიან 1884 წლის ბირველის იანვრისათვის, ამის გამო გამგეობა მოიწვევს იმ ბირთ, რომელთაც ამ მაღაზიების ქირით აღება სურთ, გამოუცხადონ გამგეობას ესლავე, როგორ უნდა გაიყოს მაღაზიები ერთიერთმანეთისაგან, რომ სრულის მომართვის შემდეგ გადაკეთება აღარა დასჭირდეთ ორ. ამ საგანზედ გამოცხადება მიიღება გამგეობაში (უბრავაში) ოთხელ დღე ნაშუადღევის ორს საათამდე.

(3—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1884 годъ
на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету

„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

ГОДЪ ПЯТЫЙ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою въ Москвѣ:		Съ пересылкою въ города:	
На 12 мѣс 8 р. 50 к.	На 6 мѣс. 4 р. 50 к.	На 12 мѣс. 9 р. — к.	На 6 мѣс. 5 р. — к.
» 11 » 8 » — »	» 5 » 3 » 90 »	» 11 » 8 » 50 »	» 5 » 4 » 60 »
» 10 » 7 » 50 »	» 4 » 3 » 25 »	» 10 » 8 » — »	» 4 » 3 » 70 »
» 9 » 6 » 75 »	» 3 » 2 » 50 »	» 9 » 7 » 40 »	» 3 » 2 » 75 »
» 8 » 6 » — »	» 2 » 1 » 90 »	» 8 » 6 » 70 »	» 2 » 2 » — »
» 7 » 5 » 25 »	» 1 » 1 » — »	» 7 » 5 » 90 »	» 1 » 1 » 10 »

За границу: на 12 м. 17 р., на 6 м. 9 р., на 3 м. 5 р., на 1 м. 2 р.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, домъ Н. П. Ланина; въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы и С.-Петербурга и въ Парижѣ—Rue Clément, 4 Adam.

Гг. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору-изданія «РУССКІЙ КУРЬЕРЪ».

(3—2) Редакторъ-Издатель Н. П. Ланинъ.

ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1884 ГОДА ЖУРНАЛА

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ четвертый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

I. Статьи по всѣмъ вопросамъ. вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассаціонныхъ рѣшеній: а) кассаціонныхъ департаментовъ сената, и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А. Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркеліа, П. И. Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, Д. П. Цурцеладзе, Я. И. Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А. А. Фонъ-Ашеберга, В. А. Хлѣбникова, Н. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ уложеній—Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношенахъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (изслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При меремѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., ½ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются по 25 коп. въ Тифлисѣ, въ Центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ, въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются безплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація. (8—2)

Дозв. цензур. Тифлисъ, 15 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.